

DOI: 10.54635/tpks.2022.31putk

**აკაკი გაწერელიას პროზა  
(„ნიკოლოზ ბარათაშვილისა“)  
AKAKI GATSERELIA'S PROSE  
("THE DEATH OF NIKOLOZ BARASHVILI")**

**მაყვალა დავითაძე**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ახალციხე, საქართველო

**Makvala Davitadze**

Samtskhe-Javakheti State University  
Akhaltsikhe, Georgia

**ABSTRACT**

Until recently, Akaki Gatsrelia's literary works have been less studied and analyzed. He is a highly refined researcher and the mystic of literature.

The interest of Georgian scientists and writers has never ceased to exist towards such a great Georgian poet as Nikoloz Baratashvili. Akaki Gatsrelia, a famous scholar and writer of the twentieth century, contributed to the scientific study of the work of this great romantic poet. The great interest of the researcher stemmed from N. Baratashvili's poetic language, his thinking, reasoning, meditation, philosophical discussion, and conclusions. The researcher expressed his ideas in his paper entitled Nikoloz Baratashvili (1945).

A. Gatsrelia as a textual critic studied and published N. Baratashvili's works (1972). The writer and scholar could not leave unexamined this great poet in his writings, and in his story Death of Baratashvili, he depicted the final day and minutes of N. Baratashvili, the great poet of the nineteenth century. The work describes the feelings and final minutes of the life of a sick poet away from his homeland. The agony of the poet, his thoughts, and his distraught spirit until the very last minute have been expressed using profound psychologism and emotion. The work shows how insensitive the Russian officers and the population of Ganja were to the death of the Georgian poet. The language of the author of the story is highly artistic and enjoyable to read. It can be noted that this work is a rare attempt to describe the final minute of Baratashvili's life and is a brilliant example of artistic expression.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული მწერლობა, აკაკი გაწერელია, ნიკოლოზ ბარათაშვილი.

**Keywords:** Georgian literature, Akaki Gatsrelia, Nikoloz Baratashvili.

ქართული სულიერების ისტორიაში იშვიათია ისეთი მრავალმხრივი და, რაც მთავარია, ნიჭიერი შემოქმედისა და მეცნიერის არსებობა, როგორც აკაკი გაწერელია.

აკაკი კონსტანტინეს ძე გაწერელია, გამოჩენილი ლიტერატურათმცოდნე, მწერალი, მეცნიერი და ტექსტოლოგი, დაიბადა 1910 წელს, ფოთში. ლიტერატურულ სარბიელზე გამოვიდა 1927 წელს. იგი ავტორია მრავალი ფილოლოგიური გამოკვლევისა. მის კალამს ეკუთვნის მონოგრაფიები: „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (1945), „გრიგოლ ორბელიანი“ (1957), „ვაჟა-ფშაველა“ (1961); გამოკვლევები ქართული ლექსთწყობის საკითხებზე: „ნარკვევები ქართული პოეტიკიდან“ (1938); ფასდაუდებელია მისი ნაშრომი „ქართული კლასიკური ლექსი“ (1953).

ა. გაწერელია არის ავტორი ლიტერატურული ნარკვევებისა და ესეებისა. მნიშვნელოვანია მისი ტექსტოლოგიური საქმიანობაც, რომლის შედეგადაც გამოსცა პლ. იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ (1936), გრ. ორბელიანის ორტომეული (1936-37), გრ. ორბელიანის თხზულებათა სრული კრებული (1959), ნ. ბარათაშვილის თხზულებები (1970), ალ. დიუმას „კავკასია“ (1964) და სხვ.

თავად აკაკი გაწერელია თავს უპირველესად მწერლად მიიჩნევდა. ის ერთნაირი სიძლიერით მოღვაწეობდა ქართული ლიტერატურისა და ფილოლოგიური მეცნიერების არაერთ უბანზე.

საინტერესოა მისი, როგორც პროზაიკოსის, შემოქმედება. მის კალამს ეკუთვნის მოთხრობები და ნოველები: „ჩირ-ღურთი“, „იმამი ლოყაში“, „ბოსკოს შეგირდი“, „სიკვდილი ბარათაშვილისა“, „თხუპნია“ და მრავალი სხვა უადრესად საინტერესო ნაწარმოები.

1960 წელს გამოქვეყნდა მისი „ნოველები“, ხოლო 1972 წელს მოთხრობა „შამილი და მისი ნაიბი“.

ცნობილი ლიტერატურული ფაქტია, რომ ა. გაწერელიას დიდი ინტერესისა და სიყვარულის საგანს შეადგენდა კავკასიელ ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისათვის. გულდასმითა და სკრუპულოზურად აანალიზებდა ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს. უდიდესი სიმპათიით იყო განმსჭვალული თავისუფლებისმოყვარე კავკასიელი ხალხის მიმართ. უდიდესი პატივისმცემელი და დამფასებელი იყო შამილის პიროვნებისა. მისადმი სიმპათიით შექმნა არაერთი ნაწარმოები, რომელშიც მთის ამაყი შვილის სახე მონუმენტურადაა დახატული. სამწუხაროა, რომ ვერ მოასწრო დაეწერა ჩაფიქრებული რომანი შამილის შესახებ, რომელსაც თითქმის შეუწყვეტლად დასტრიალებდა მისი ფიქრი.

ა. გაწერელიას შემოქმედებაში უდიდესი ლირიზმითაა დახატული ნეტარი ავგუსტინეს სახე („ფაიდას გამოცხადება“). ავტორი უდიდესი სიყვარულითა და მხატვრული ოსტატობით გვიხატავს მისი ცხოვრების დეტალებს.

ზოგადად, შევნიშნავთ, რომ მწერალს ძალუმს და ხელეწიფება უდიდესი ტრაგიზმითა და ამავდროულად ლირიზმით გაჯერებული ცრემლით საინტერესოდ გადმოსცეს დიდ პიროვნებათა სიცოცხლის ბოლო დრო და წუთები. ასეა დამარცხებული იმამ შამილის უდიდესი ტრაგიზმითა და დიდებულებით სავსე სახის ჩვენებისას, ასეა ნეტარი ავგუსტინეს ბოლო წუთს მისი სათაყვანო ფაიდას გამოცხადებისას, ასეა ნიკოლოზ ბარათაშვილის სიცოცხლის ბოლო დღის დახატვისას. ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოებია „სიკვდილი ბარათაშვილისა“.

ზოგადად, მწერლისა და მეცნიერის უდიდესი თავყვანისცემის საგანს შეადგენდა ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი შემოქმედება. შეეძლო საათობით, ალტაცებით ესაუბრა ბარათაშვილის შემოქმედების, მისი მარტოსულობისა და ტრაგიკული ბედის გარშემო.

თავის სტუდენტებს დეტალებში გვაცნობდა ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ნიუანსებს, გვიამბობდა ნ. ბარათაშვილის ოჯახის შესახებ; გატაცებითა და სევდიანი სახით საუბრობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის მამის – მელიტონ ბარათაშვილის შესახებ, რომელიც ხაშურის რაიონში, სოფელ ოსიაურის სასაფლაოზე არის დაკრძალული.

ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი სიყვარულით შექმნა აკაკი გაწერელიამ მონოგრაფია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, რომელიც გამოქვეყნდა 1945 წელს. მანვე ტექსტოლოგიური ანალიზი გაუკეთა და 1972 წელს გამოსცა ნ. ბარათაშვილის თხზულებანი. მონოგრაფია იმდენად საინტერესოდ მომჩნა, რომ თარგმნილია რუსულ, ფრანგულ და სხვა ენებზე.

ა. გაწერელიას გამოცემები ითვლება ნ. ბარათაშვილის ძირითად გამოცემათა რიცხვში. ის ნიკოლოზ ბარათაშვილს მიიჩნევდა ტრაგიკული ბედის რომანტიკოსად, რომლის შემოქმედება იყო „თვითგამორკვევისაკენ მიმსწრაფი სულის“ ანარეკლი.

ნ. ბარათაშვილი არის პრაქტიკულად ახალი ესთეტიკური მრწამსისა და მიმართულების პოეტი, რომლის პოეზიაშიც იკითხება შემოქმედის სურვილი, გათავისუფლდეს მიწიერი ტვირთისაგან, შეუერთდეს და შეეხმიანოს სამყაროს იდუმალ, მარადიულ ძალას, ჰარმონიულად შეერწყას სამყაროს უხილავ საწყისებს, ამაღლდეს ამოებზე. მარადიული დაუკმაყოფილებლობის გრძნობაა გადმოდვრილი მის პოეზიაში.

რაც შეეხება შემოქმედის სატრფიალო პოეზიას, ბარათაშვილმა გვერდი აუარა ბესიკის მიერ პოეზიაში შემოტანილ ეროტიკულ კონცეფციებსა და განცდებს. ამ მხრივ არც ალ. ჭავჭავაძის მიმბაძველია ნ. ბარათაშვილი. მისთვის სიყვარული ზეციდანაა მოსული, ცისფერია, ნაზია, სულთა კავშირითაა ნაზარდი. და სწორედ ზეციით მოსული მშვენიერების მეტრფე და მონაა თავად პოეტი.

ცნობილია, რომ ბარათაშვილს სხვადასხვა დროს ჰყავდა თავისი ტრფობის ობიექტები, ჰყავდა პოეტური მუზები: ეკატერინე ჭავჭავაძე და მასთან გაუზიარებელი სიყვარული, ნინო – სავარაუდოდ, ყაფლან ორბელიანის პირველი მეუღლე – ნინო თამაზის ასული ქობულაშვილი-ორბელიანისა, ფრანგი დელფინა ლაბიელი, ასევე, გონჩა ბეგუმი, რომელსაც, მკვლევართა ვარაუდით, ნ. ბარათაშვილმა უძღვნა თავისი შესანიშნავი ლექსი „მადლი შენს გამჩენს“.

პოეტის ლექსები, მიძღვნილი მშვენიერ სატრფოთა და მუზათა მიმართ, ამაღლებულია და უშუალო, გულწრფელი და გულმხურვალე გრძნობით ნაკარნახევი.

მართლაც ბედის ირონიაა: ახალგაზრდა პოეტი, რომელიც ყოველთვის ილტვოდა მიწიერებიდან ზეციურისაკენ ასამაღლებლად, ყოველთვის იმედგაცრუებული რჩებოდა, სულიერი სარბიელის სიმცირესა და სივიწროვეს ტრაგიკულად აღიქვამდა და სულში უსაშველო სიცარიელეს გრძნობდა.

ბედის ირონიაა, რომ პოეტს, რომელსაც სულში ზეცის სილურჯე ჰქონდა ჩაფენილი, პრაქტიკულად რუტინული შრომა ეწერა ბედისწერის უხილავ წიგნში.

როგორც ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, საქართველოში ევროპეიზმისა და ევროპული რომანტიზმის დამამკვიდრებელი პოეტი, შემოქმედის სულისა და თავისუფალი ნებისათვის მებრძოლი ადამიანი, იძულებულია შეასრულოს რუტინული შრომა ჩინოვნიკისა და ბოლოს, 1844 წელს, თავისი მძიმე მატერიალური ყოფიდან გამომდინარე, იძულებულია წავიდეს მაზრის მმართველის თანაშემწედ, 1845 წელს იმავე თანამდებობაზე განჯაში, სადაც 28 წლისა, სრულიად ახალგაზრდა, მალარიით მძიმედ დაავადდეს და დაიღუპოს. მისი ობოლი სხეული (სულითაც ხომ ასეთივე ობოლი იყო) გარდაცვალებიდან მესამე დღეს დაკრძალეს ციხის ეკლესიის გალავანში. გარდაცვალებამდე რამდენიმე (ოთხი) დღით ადრე განჯაში ჭავჭავაძის სიძე, ბარონი ნიკოლაი იმყოფებოდა და სახლს, რომელშიც პოეტი ცხოვრობდა, საშინელი ქოხი უწოდა. გონების თვალთ წარმოვიდგინოთ ადგილი, სადაც ბარათაშვილმა დალია სული. მისი სიცოცხლის ბოლო წუთებს მღვდელი სტეფანე ვერდერევესკი დასწრებია და მასვე აუგია წესი ბარათაშვილისათვის. მისი გვამი, მუნდირში გახვეული, ციხის პაწაწინა ეკლესიის გალავანში დაუკრძალავთ. ასეთია ისტორიული ფაქტი ბარათაშვილის გარდაცვალებისა, რომელიც ა. გაწერელიამ თავის შემოქმედებით ქურაში გადაადნო, მხატვრულად ასახა და წარმოვიდგინა ბარათაშვილის სიცოცხლისა და ტრაგიკულად დაღუპვის სურათი.

ნაწარმოებს ეპიგრაფად წამმღვარებული აქვს ბჭკარედები ნ. ბარათაშვილის ლექსიდან „ხმა იდუმალი“, რომელიც ერთგვარად ხსნის პოეტის მთელ მისტიკურ სამყაროს.

ნაწარმოები იხსნება დაღესტნიდან თბილისში მომავალი ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაის ელისავეტოპოლოში გზად შევლითა და მამუკა ორბელიანთან სტუმრობის ამბის გადმოცემით. „კავკასიის მეფისნაცვალთან განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელედ დანიშნული, ოცდახუთი წლის ჭაბუკი, ქერა სახისა და მოკლებაკებიანი ოფიცერი“ – ასე ახასიათებს ა. გაწერელია ბარონ ნიკოლაის.

ნაწარმოების შესავალშივე აღწერილია სახლი და გარემო, რომელიც პირქუშად და საშინლად გამოიყურება („საშინელი ქოხია“). „კედლები – უშპალერო, იატაკი – მტვრიანი, ბუხარი – ჩამონგრეული“. კიდევ უფრო მუქი ფერებითაა დახატული ოთახი, რომელშიც ნ. ბარათაშვილი ცხოვრობდა: „ერთსარკმლიანი ოთახი მიაგავდა ვიწრო საკანს, სადაც რკინის ტახტი, რამდენიმე სკამი და პატარა მაგიდა იდგა. მაგიდაზე იდო მოხელის შავი ქუდი, ორიოდე წიგნი და ბრინჯაოს ლანგარი საზამთროს ნაფცქვენებით. ბინა სავსებით შეეფერებოდა უთვისტომო და მარტოხელა ადამიანს“. ამ ოთახის ბინადარს კი ასე აღგვიწერს მწერალი: „ბარათოვი შუათანა ტანისა, არც გამბდარი, არც მსუქანი მამაკაცი ჩანდა, ოცდაათი წლისა თუ იქნებოდა, წაბლისფერი თმა მოკლედ შეეკრიჭა. ნოღა, ბუდეშურად მოყვანილი, მოძრავი და შავი თვალები. ჩინელივით ოდნავ ცხვირისკენ დაჰქანებოდა, ყურადღებას იქცევდნენ ერთმანეთზე გადაღობილი, ხშირი წარბები. წვერგაპარსული, პირხმელი სახე ერთი შეხედვით მოთეთრო და გლუვი ეჩვენა, მაგრამ ახლოს დაღმეჭილი ჩანდა“.

საინტერესოა ბარონ ნიკოლაისა და ბარათაშვილის დიალოგი, რომელიც ერთგვარ შტრიხებს მატებს პოეტის სახეს: ბიძებისა და სახლის ხსენებამ გამოაცოცხლა, „ცნობისმოყვარეობის გამო მოძრავი თვალები ერთბაშად გაეყინა“ – წერს ავტორი.

ამ დიალოგში ასევე კარგად ჩანს ბარათაშვილის, მიწიერი ადამიანის, სახე, რომელიც იძულებულია იყოს ჩვეულებრივი მოკვდავის იერით, დაფაროს შეურაცხყოფის განცდა, რაც მან სტუმართან საუბარში იგრძნო.

მაღალმხატვრული ხერხებითაა გაცოცხლებული ელისავეტოპოლის მაზრის მოხელეთა უფერული ცხოვრება.

კალმის ერთი მოსმით, უდიდესი ფსიქოლოგიზმითაა დახატული ფიქრით გაორებული პოეტის სახე, რომელსაც თან სდევს აქაც, ამ მიყრუებულ, თითქოს ღვთისაგან დავიწყებულ ადგილას. თავისი დემონი, ხოლო სულიერი გაორება მოსვენებას უკარგავს მის სულს, „თავს რომ აბეზრებს, მარადჟამს ჩასჩურჩულებს და აჰკვიატებია, ბნელი ვნებებით რომ არხევს მისი ცხოვრების ნავს“. ერთი ხმა ჩასჩურჩულებს, რომ ყველა თავის ბუნაგს უბრუნდება და სჯერა გულის კიდემდე ბიძისათვის მიწერილი: „ათასი რომ ვიჩანჩალოთ, ისევ საქართველში უნდა დავაბოლოვოთ ჩვენი ცხოვრებაო!“

მეორე ხმა კი ეუბნება: რომ არც მას უწერია თავისი სულიერი წინაპრების, რუსთველის, გურამიშვილის, ს.ს. ორბელიანის მსგავსად მშობლიურ მიწაში განსასვენებლის პოვნა. „მუდამ ფარდის იქით ცხოვრობდა“, – წერს ა. გაწერელია და სწორედ ფარდის მიღმა ცხოვრება განაპირობებდა იმას, რომ პოეტს, მიუსაფარსა და ეულს, „ყველა სმენადახშულად მიაჩნდა, ყველას სული სარკმელმიხურულად“. ასე მარტოსული მხოლოდ ლექსებში ამხელდა თავისი სულის გმინვას, რომელნიც მომავლისათვის იწერებოდნენ, რადგან აწმყოში არავის ესმოდა მისი სულის მოძრაობისა.

ფსიქოლოგებმა იციან და ცნობილია, რომ ადამიანი შინაგანად გრძნობს თავის აღსასრულს და ამ ბოლო წუთებში ხდება პირუთვნელი შეფასება თუ გადაფასება განვლილი ცხოვრების გზისა. ასეთ დროს სინანულიც გულწრფელია და ბრალდებაც. ან სხვა რაღა შეეძლო ტატოს, რომელსაც „სამშობლოს ლაჟვარდოვანი ცის ნაცვლად განჯის ნანგრევები და მტვრიანი ქარი“ შერჩა ხელთ, ხოლო „თავისივე ჩრდილთან მოთამაშე საყურეების ციმციმის ჭვრეტის ნაცვლად – მათრახით ხელში სირბილი უღრან ტყეებში“ და რა გასაკვირია, რომ ზეცისკენ თვალმიპყრობილს, პოეტური შთაგონებით სავსესა და ცხოვრებისაგან იმედგაცრუებულს, ეს ყველაფერი დაებრალეზინა იმ ბოროტი სულისათვის, „რომელმაც ბედთან თამაშის დროს ყველა კარტი შეუცვალა ტატოს, ყალბი ქალაქები შეაჩეჩა ნამდვილის წილ!“

აკაკი გაწერელია უხვი მეტაფორული ხერხებითა და ფრაზებით სრულად გვისიგრძეგანებს და გვიჩვენებს ბარათაშვილის ბედის იმ ტრაგიზმს, რომელიც პოეტმა თავის შედეგებში დაასურათხატა.

ღრმა ფსიქოლოგიზმითა და ტრაგიზმითაა აღწერილი სულთ-მობრძავი პოეტის ბოლო წუთები. გაოცებას იწვევს ა. გაწერელიას დიდი, შემოქმედებითი უნარი, თანაზიარი გაგვხადოს და მთელი სიმძაფრითა

და სევდით აღგვაქმევენოს პოეტის სიცოცხლის ბოლო, სულის ხორცთან გაყრის წამები.

ავტორის აზრით, სულთმობრძავი პოეტი ალბათ ასე, ფხიზელი გონებით უნდა წარსდგომოდა უზენაესის სამსჯავროს. ამიტომაც წერს მის შესახებ ასე: „მიხვდა – საწუთროს ეთხოვებოდაო“.

ბარათაშვილმა, სულთან და სიკვდილთან პირისპირ მყოფმა უიღბლო პოეტმა, ბოლო წუთებში ერთი სასოებალა იპოვა, ერთი და უმთავრესი: „მაგრად ჩასჭიდა ხელი ყავისფერ მაუდის ყდაში ჩასმულ პატარა სახარებას და გულზე დაისვენა“. სწორედ „ეს წიგნი აღმოჩნდა ბალზამი მისი მშფოთვარე სულისათვის“, ხოლო როცა ლანდის მსგავსი რამ აეტუზა თვალწინ, უმაღ მიხვდა, ის იყო... სიკვდილის ანგელოზი თავს დასტრიალებდა და გულში იხუტებდა.

ნაწარმოების ეპილოგს Delirium უწოდა მწერალმა. მოთხრობის ამ ნაწილში გადმოცემულია აგონიაში, სულისა და ხორცის გასაყარზე მდგომი პოეტის მოჩვენებანი.

აგონიაში მყოფი პოეტის ბოდვით წარმოსახვაში არის დედა, რომელიც ლოყებს დაიკაწრავს, მაგრამ ვერც ცრემლი მისცემს შვებას მის ნაწამებ სულს! ელანდება თბილისი და სიმღერა ყაბახზე, სიცოცხლის ბოლო წუთში კიდევ უფრო მეტად აღარაფრად უღირს დაწინაურება და ჩინ-მედლები, არც ის სერთუკი, რომლითაც შესუდრავენ.

ამ ბოლო წუთებში სატრფოს სახელის წართქმაც უჭირს. ებრძვის და ძალმომრეობს მოსული სტუმარი – სიკვდილი, სჯაბნის ავადმყოფს, რომლის ბოლო ნუგეშიც ლუკას სახარებიდან წარმოთქმული ფრაზებია და ამ ფონზეც ბოროტი სული მაინც ჩასძახის: მარტოობა ხვედრიაო სულით მიუსაფართა.

უდიდესი მხატვრული ოსტატობით ხატავს მწერალი ტატოს სულის ხორციდან გაყრის ბოლო წამს: „თავი გადაუვარდა, პატარა ცხვირი ჭერისკენ მიექცა, ოდნავ გაღებული ქუთუთებიდან ცივად და უმოძრაოდ გამოიყურებოდნენ ერთმანეთისკენ დაქანებული ჩინური თვალები. არც მიტეკვბას ამხელდნენ, არც სამდურავს, მარტოობის სიცარიელეს მხოლოდ“.

ასე წავიდა და დაასრულა ხეტიალი დედამიწაზე ყველაზე მშფოთვარი სულის პოეტმა 1845 წელს, ოქტომბრის ცხრა რიცხვში, ბედთან შეურიგებელმა, ბოროტ და ავ ბედისწერასთან დაუზავებლად, ისე, რომ არ გამოცხადებია თავისი სათაყვანო სატრფო, ნეტარ ავგუსტინესავით. ბოლო წუთების ელდა და სევდა მხოლოდ გულში ჩაკრულმა სახარებამ შეუმსუბუქა.

ნაწარმოების ბოლო, მეექვსე თავში აღწერილია დაღესტნიდან მომავალი ოფიცრების დროსტარება იქ, სადაც რამდენიმე დღის წინ სული დალია პოეტმა. ერთგვარად ჩნდება განცდა იმისა, რომ აქ მოსული სტუმრები გაიზიარებენ ახალგაზრდა ჩინოვნიკის (თუ პოეტის არა) გარდაცვალებით გამოწვეულ სევდას, მაგრამ რუს ოფიცრებს არაფრად უღირთ მაზრის უფროსის მოადგილის, ახალგაზრდა კაცის სიკვდილი, ისე როგორც ციხესიმაგრის დანარჩენ ბინადართ და ქალაქის მოსახლეობას.

მოთხრობის ბოლო ნაწილი ცხადად წარმოადგენინებს მკითხველს ნაცრისფერ, უსახურ ქალაქს თავისი მკვიდრებითურთ, სულიერებისაგან დაცლილთ, ისე როგორც ეს ოფიცრები არიან. მათთვის წუთიერი სევდის

მიზეზიც კი ვერ გახდა პოეტისა და, გნებავთ, ერთი ქართველი ჩინოვნიკის სიკვდილი. დროსტარებისას აზარტული თამაში წამოიწყეს ოფიცრებმა. თამაშის დროს წამოჭრილი დავა დუელმა უნდა გადაწყვიტოს. მეთაურისა და მისი ქვეშევრდომის დუელი მეთაურის გამარჯვებითა და მათი ძლივს შერიგებით დამთავრდა და ქალაქს, რომელმაც არცკი შეიმჩნია ახალგაზრდა პოეტის გარდაცვალება, დუელის ამბავი მთელი წელი პირზე ეკერა. ეს დრო ასე შეაფასა ა. გაწერელიამ: „ბედის მორჩილთა ყრუ დრტვინვისა და გულზვიადთა აფეთქების, იღბლიანთა და უიღბლოთა” ხანა.

თამამად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ეს ნაწარმოები იმ იშვიათ მოთხრობათა რიცხვშია, რომელიც ასეთი ღრმა მხატვრული ხერხებით გადმოსცემს ბედისწერისაგან დაჩაგრული ადამიანის ტრაგიზმს, დიდი რომანტიკოსის სულის ძახილსა და მარადისობასთან შერწყმის წამებს.

1881 წელს კონსტანტინე მამაცაშვილი გაზეთ „ივერიაში” წერდა ნ. ბარათაშვილის საფლავის მდებარეობის შესახებ. ეს მინაწერი გვამცნობს ობოლი სულის, მშფოთვარე გრძნობისა და მარტოობით გაწამებული პოეტის საფლავზე ამოსული კვიპაროსის ხის მშვენებას „მწვანე ზაფხულ-ზამთარში”. სიმბოლურია ამ მარადმწვანე ხის არსებობა პოეტის საფლავზე, როგორც თვით ამ საფლავის ბინადარის უკვდავი პოეზია.

ა. გაწერელია ამ ნაწარმოების გაანალიზების შემდგომ, შეიძლება ითქვას, რომ ავტორი ახერხებს ისტორიული ფაქტები და მხატვრული გამონაგონი უბადლოდ შეურწყას ერთმანეთს. მხატვრული ხერხებისა და საშუალებების უხვად გამოყენების გზით გადმოგვცეს ნაწარმოების მთავარი გმირის შინაგანი სულიერი სამყარო, დახატოს ბედისწერისაგან დაჩაგრული, მაგრამ ვერგაუტყეხელი სახე.

მწერალი ნაწარმოებში იმგვარად ორიგინალურად ახერხებს მხატვრული გამონაგონისა და ისტორიული ფაქტების შერწყმას, რომ ერთ მთლიანობად აღიქმება მკითხველისათვის. მეტაფორული ფრაზები, დახვეწილი პოეტური სინტაქსი კი ნაწარმოებს მართლაც ორიგინალურ ელფერს მატებს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ა. გაწერელია მეოცე საუკუნის მწერალთა შორის ღირსეულ და დამსახურებულ ადგილს იკავებს და მისი მხატვრული შემოქმედებისა თუ მეცნიერული ნაღვაწის შესწავლა უაღრესად საჭირო საქმეა.

#### დამოწმებული ლიტერატურა

**გაწერელია 1945:** გაწერელია ა., ნიკოლოზ ბარათაშვილი. თბილისი, 1945.

**გაწერელია 1972:** გაწერელია ა., ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი. თბილისი, 1972.

**გაწერელია 1985:** გაწერელია ა., ნოველები და მოთხრობები. თბილისი, 1985.

**ხინთიბიძე 2003:** ხინთიბიძე ა., ქართული ლექსი, ისტორია და თეორია. თბილისი, 2003.